



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 34

2016 წ. "02" 11

ქ.თბილისი

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯვრების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ:406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მესამე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მეოთხე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მეხუთე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის №14 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე  
ნიკოლოზ ჩაჩხიანი

მდივანი  
ირაკლი ბაიდაშვილი

